ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 102

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 16 თებერვლის N.º 06/1829 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (12092450 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, საკადასტრო კოდი N81.01.06.776) 24 კვმ მიწის ნაკვეთის, შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენტრისათვის" ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის სრულად განხორციელების მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი